სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი”

# შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქცია

ბათუმი -  2024

## მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქცია“ (შემდეგში - ინსტრუქცია) ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ფარგლებში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების წესს.

## მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო , პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, შეფასების (ვერიფიკაციის) მექანიზმი

1. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექნიზმი არის შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-4 დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (შემდეგში - ავტორიზაციის სტანდარტი).
2. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.
3. ვერიფიკაციის განხორციელების საფუძველია:

   ა) ვერიფიკაციის გეგმა, რომელსაც ადგენს კოლეჯის ხარისხის მენეჯერი, ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად.

   ბ) კოლეჯის სამოქმედო გეგმა.
4. ვერიფიკაციის გეგმის საფუძველზე ვერიფიკაციისას, ვერიფიკატორი შეიძლება იყოს, კოლეჯის მასწავლებელი (დარგის სპეციალისტი), ან/და ადმინისტრაციის წარმომადგენელი.
5. კოლეჯის სამოქმედო გეგმის საფუძველზე ვერიფიკაციისას, ვერიფიკატორი შეიძლება იყოს სხვა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დარგის სპეციალისტი ან/და დამსაქმებელი.
6. კოლეჯის სამოქმედო გეგმის საფუძველზე, ვერიფიკაციის მიმართულებებია:
   - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
   - მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
7. ვერიფიკაციის გეგმის საფუძველზე, ვერიფიკაციის მიმართულებებია:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

8. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს:
   - შეფასების შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);
   - ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
   - ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;
   - ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ).
9. შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა) - კოლეჯს შემუშავებული აქვს რისკების სისტემა,რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს, კერძოდ:
   - დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
   - სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);
   - პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;
   - ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
   - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება.
10. რისკების სისტემაში ასახულია გარემოებები, შესამლო რისკები, კოეფიციენტები (იხ. **დანართი N1** ).
11. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირები არიან:

    ა) ხარისხის მართვის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში;

    ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში;

    გ) დარგის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან /სწავლის შედეგთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს (ერთი იგივე დარგის სპეციალისტი ვერ განახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას);

    დ) სასწავლო პროცესზე პასუხიმგებელი პირ(ებ)ი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ვერიფიკაციას; ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს, დარგის სპეციალისტთან ერთად, ხოლო პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ფარგლებში შეფასების ინსტრუმენტის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს ამოწმებს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი/ ქედისა და შუახევის მისამართებზე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერები დარგის სპეციალისტთან ერთად;

    ე) დუალური პროგრამების კოორდინატორი - შეისწავლის პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, როგორც შეფასების მტკიცებულებას.
12. ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები თავის ფუნქციებს ახორციელებენ დანართი N 2-

ის შესაბამისად. გარე ვერიფიკატორი უფლებამოსიია, ვერიფიკაციის პროცესი წარმართოს დისტანციურად.

13. ხარისხის მართვის მენეჯერი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა)შესაბამისად.
14. ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაცია გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება.
15. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი;
16. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას კოლეჯში სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით;
17. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის შემდგომი განვითარებისათვის;
18. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორცილებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იქნება: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.

**მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეფასების ინსტრუმეტის შერჩევა**

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი, დუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, ასევე - პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი.

**მუხლი 4. შეფასების ტიპები და მიმართულებები**

1. გამოიყენება ორი ტიპის შეფასება:

ა) განმსაზღვრელი;
ბ) განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევის დონეს პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, ქულა, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა დაურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

3. შეფასების მიმართულებებია:

ა) პრაქტიკული დავალება დაკვირვებით;

ბ) პრაქტიკული დავალება;

გ) გამოკითხვა (ტესტი,ზეპირი ა.შ)

4. პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - პროფესიული განათლების მასწავლებელი აკვირდება პროფესიული სტუდენტის მუშაობას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში. დაკვირვება ხორციელდება სამუშაო ადგილზე, დაწესებულებაში არსებულ სახელოსნოში, ლაბორატორიაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც პროფესიული სტუდენტი პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა. პროფესიული განათლების მასწავლებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს დაკვირვების პროცესი, იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორად იყენებს პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს შედეგის მისაღწევად. პროცესზე დაკვირვების დროს მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, პროფესიული სტუდენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით.

5. პრაქტიკული დავალება გულისხმობს არა მარტო პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი „პროდუქტის" შეფასებას, რომლის მტკიცებულებაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შექმნილი მაკეტის, დეტალის ან პროფესიული სტუდენტის შრომით დამზადებული სხვა სახის არტეფაქტის სახით, არამედ „შედეგის" შეფასებასაც, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი პროექტი, გაფორმებული ხელშეკრულება, შექმნილი CV და ა.შ.

**6. გამოკითხვა** ძირითადად აკადემიური უნარების (კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური) შესაფასებლად გამოიყენება. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა საჭიროა სტუდენტის ცოდნის, აღქმისა გაგების, მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა, სინთეზის და შეფასების უნარების განსაზღვრა. მტკიცებულებად შეიძლება წარმოდგენილ იყოს, მაგალითად, პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული ტესტი.

7. პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პროფესიული განათლების მასწავლებელი განსაზღვრავს მიაღწია თუ არა პროფესიულმა სტუდენტმა მისაღწევ სწავლის შედეგებს (განმსაზღვრელი შეფასება).

8. შეფასების მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.

**მუხლი 5. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი (პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე)**

1. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შემუშავდეს შესაფასებელ მოდულში მითითებული შეფასების მიმართულების შესაბამისად.
2. შეფასების ინსტრუმენტში აუცილებლად უნდა მიეთითოს:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამის დასახელება;
გ) მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი;
დ) შეფასების მიმართულება;
ე) შეფასების მეთოდი;
ვ) პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი;
ზ) სწავლის შედეგი /შედეგები;
თ) დავალების აღწერა და დავალების შესრულების ინსტრუქცია, რომელიც იქნება პროფესიული სტუდენტისათვის გასაგები;
ი) დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო;
კ) შეფასებისათვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა და ინვენტარი;
ლ) აღწერილია შეფასების პროცესი პირობები (მაგალითად, როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუ არა

პროფესიულ სტუდენტებს თანამშრომლობა და სხვა);
მ) ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი;
ნ) ინფორმაცია განმეორებითი შეფასების შესახებ (დეტალურად მიეთითება რომელი მოდულის წინაპირობაა აღნიშნული მოდული და რა პერიოდში მოხდება გადაბარება);
ო) სწავლის შედეგის დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულების დასახელება;
პ) დავალების შინაარსი;
ჟ) შეფასების სქემა - სწავლის შედეგის დადასტურების პირობები;
რ) შეფასების ჩატარების თარიღი;
ს) ინსტრუმენტის შემმუშავებელი მასწავლებლის გვარი, სახელი.

3. გამოკითხვის მიმართულებაში ტესტების გამოყენების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტში ასევე უნდა:

ა) განისაზღვროს ტესტის შევსების ინსტრუქცია;

ბ) განისაზღვროს თითოეული ტესტური დავალებისთვის პირობა;

გ) განისაზღვროს ერთგვაროვანი დისტრაქტორები, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს პასუხის გამოცნობის ალბათობას;

დ) გამოყენებული იქნას სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები;

ე) დაინომროს ტესტები;

ვ) შემუშავდეს ტესტის გასაღები.

4. პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შეფასების ინსტრუმენტში ასევე უნდა მიეთითოს პრაქტიკული დავალების/შემთხვევის/სიმულაციის შინაარსი, შეფასების კრიტერიუმები და განისაზღვროს დავალების შესრულების შესაბამისი მტკიცებულება.

5. პრაქტიკული დავალება - შეფასების ინსტრუმენტში ასევე უნდა მიეთითოს პრაქტიკული დავალების/შემთხვევის/სიმულაციის შინაარსი, შეფასების კრიტერიუმები და განისაზღვროს დავალების შესრულების შესაბამისი მტკიცებულება.

**მუხლი 6. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა**

1. შეფასების პროცესამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს (დანართი №3 ფორმატის შესაბამისად);

2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ ვალიდაციას ახორციელებენ წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განათლების სპეციალისტი და დარგის სპეციალისტი (ძირითადად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი) დანართი №4 შესაბამისად;

3. განათლების სპეციალისტი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმებას, ხოლო დარგის სპეციალისტი შინაარსობრივი მხარის შემოწმებას.

4. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით / შენიშვნებით /

მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით;

5. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით „შეთანხმებულია“და ორი ვალიდატორის ხელმოწერით გამოიყენება პროფესიულ სტუდენტების შეფასების მიზნებისათვის.

**მუხლი 7. შეფასების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა**

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აცნობებს შეფასების თარიღის შესახებ ინფორმაციას შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე.

2. ინფორმაცია შეფასების თაობაზე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეფასების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

3. პროფესიული სტუდენტი შეფასების შედეგის გაცნობას ადასტურებს ხელმოწერით.

**მუხლი 8 შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების,შენახვის წესი და პროცედურები**

1. მოდულის ფარგლებში მოპოვებულ პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებებს განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ინახავს შესაბამისი ჯგუფის პორტფოლიოში;
2. მოდულის მიმდინარეობის პროცესში შეფასების მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი, გარდა დუალური პროგრამის პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალისა, რომლის შენახვაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს;
3. მოდულის დასრულებიდან ან განმეორებითი შეფასების დასრულებიდან ორი კვირის პერიოდში (10 სამუშაო დღე) პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირს აბარებს პროფესიული სტუდენტის მტკიცებულებებს.
4. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ იბარებს მტკიცებულებებს რაოდენობრივად შეფასების უწყისის შესაბამისად;
5. შეფასების მტკიცებულება უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციასა და რეკვიზიტებს:

    ა) აღნიშვნა: შედეგ(ებ)ი დადასტურდა/ ვერ დადასტურდა;
    ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა;
    გ) პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა.
6. შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი (ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და დარგის სპეციალისტები);
7. შესაძლებელია ვერიფიკაცია განხორციელდეს პარტნიორი დაწესებულების შესაბამისი

კომპეტენციის მქონე პირ(ებ)ის ჩართულობით;

8. პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მათ შორის მოდულის მიმდინარეობის პროცესში;
9. პროფესიული სტუდენტის შეფასებიდან გამომდინარე სწავლის შეწყვეტის საკითხის დადგომის შემთხვევაში, დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერის/ქედისა და შუახევის მისამართებზე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერები მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოფს დირექტორის წერილობით ინფორმირებას შეფასების უწყისების ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
10. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი თვის ვადაში მტკიცებულებების შენახვაზე პასუხისმგებელი პირი აბარებს კოლეჯის არქივს პროფესიული სტუდენტ(ებ)ის შეფასების მტკიცებულებებს;
11. მოდულური პროგრამების შეფასების მტკიცებულებების (სტუდენტთა ნამუშევრები) შენახვის ვადადგანისაზღვროს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წელი;
12. პროფესიული სტუდენტის შეფასების თაობაზე ინფორმაციის გაცემის პროცესში კოლეჯი ვალდებულია დაიცვას პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები, მოთხოვნის შემთხვევაში გაკეთდეს ამონაწერი შესაბამისი დოკუმენტებიდან.

## მუხლი 9. პროფესიული მომზადების პროგრამებზე/ პროფესიული გადამზადების პროგრამებზე შეფასების ინსტრუმეტის შერჩევა

1. პროფესიული მომზადების პროგრამებზე/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა მიღწევების შეფასებისთვის გამოიყენება გამოიყენება ორი ტიპის შეფასება:

   ა) განმსაზღვრელი;
   ბ) განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მსმენელის მიღწევის დონეს, პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მსმენელის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, ქულა, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა დაურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა განმსაზღვრელი შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი;

4. შეფასების მიმართულებებია:

   ა) პრაქტიკული დავალება დაკვირვებით;

   ბ) პრაქტიკული დავალება ;

   გ) გამოკითხვა (ტესტი,ზეპირი და სხვა ).

5. პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - პროფესიული განათლების

მასწავლებელი/ინსტრუქტორი აკვირდება მსმენელის მუშაობას პროგრამით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში. დაკვირვება ხორციელდება სამუშაო ადგილზე, დაწესებულებაში არსებულ სახელოსნოში, ლაბორატორიაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც მსმენელი პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა. პროფესიული განათლების მასწავლებელმა/ ინსტრუქტორმა წინასწარ უნდა დაგეგმოს დაკვირვების პროცესი, იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორად იყენებს პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს შედეგის მისაღწევად. პროცესზე დაკვირვების დროს მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის,მსმენელის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით.

6. პრაქტიკული დავალება - მიმართულება გულისხმობს არა მარტო პროფესიული მსმენელის მიერ შექმნილი „პროდუქტის" შეფასებას, რომლის მტკიცებულებაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შექმნილი მაკეტის, დეტალის ან მსმენელის შრომით დამზადებული სხვა სახის არტეფაქტის სახით, არამედ „შედეგის" შეფასებასაც, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი პროექტი, გაფორმებული ხელშეკრულება, შექმნილი CV და ა.შ.
7. გამოკითხვა ძირითადად აკადემიური უნარების შესაფასებლად გამოიყენება. პროფესიული განათლების მასწავლებელი ამ ხერხს იყენებს მაშინ, როცა საჭიროა მსმენელის ცოდნის, აღქმისა გაგების, მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა, სინთეზის და შეფასების უნარების განსაზღვრა. მტკიცებულებად შეიძლება წარმოდგენილ იყოს, მაგალითად, მსმენელის მიერ შევსებული ტესტი.
8. მსმენელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პროფესიული განათლების მასწავლებელ/ინსტრუქტორ განსაზღვრავს და მიაღწია თუ არა მსმენელმა შესაბამის სწავლის შედეგებს.
9. შეფასების მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორი მიერ განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.

**მუხლი 10. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი (პროფესიული მომზადების პროგრამებზე/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე)**

1. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შემუშავდეს შესაფასებელ სწავლის შედეგში ან შედეგებში მითითებული შეფასების მიმართულების შესაბამისად.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ წარმოდგენილ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შეფასების ინსტრუმენტში აუცილებლად უნდა მიეთითოს:
   ა) საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება;
   ბ) შეფასების ჩატარების თარიღი;
   გ)პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;
   დ) სწავლის შედეგი/შედეგების დასახელება, ნუმერაცია;
   ე) შეფასების მიმართულება;
   ვ) შეფასების მეთოდი;
   ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის სახელი და გვარი;
   თ) დავალების აღწერა და დავალების შესრულების ინსტრუქცია, რომელიც იქნება მსმენელისათვის გასაგები;
   ი) დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო;
   კ) შეფასებისათვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა და ინვენტარი;
   ლ) აღწერილია შეფასების პროცესი პირობები (მაგალითად, როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა);
   მ) ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი;
   ნ) ინფორმაცია განმეორებითი შეფასების შესახებ;

ო) სწავლის შედეგის/შედეგების დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულების დასახელება;
პ) ინსტრუმენტის შემმუშავებელი მასწავლებლის/ინსტრუქტორის გვარი, სახელი .

**მუხლი 11. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა**

1. შეფასების პროცესამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი/ქედისა და შუახევის მისამართებზე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერები) უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს (დანართი №5 ფორმატის შესაბამისად); პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ ვალიდაციას ახორციელებენ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი/ქედისა და შუახევის მისამართებზე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერები და დარგის სპეციალისტ(ებ)ი (დანართი №6 შესაბამისად);

2. ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი/ქედისა და შუახევის მისამართებზე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერები ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის, ხოლო დარგის სპეციალისტი შინაარსობრივი მხარის შემოწმებას;

3. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით „შეთანხმებულია“ და ორი ვალიდატორის ხელმოწერით გამოიყენება მსმენელების მიღწევების შეფასების მიზნებისათვის.

**მუხლი 12. შეფასების შედეგის/შედეგებზე მსმენელთა ინფორმირების სისტემა**

1. ინფორმაცია შეფასების თაობაზე მსმენელებისათვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მასწავლებელთან/ინსტრუქტორთან შეფასების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

2. მსმენელი შეფასების შედეგის/შედეგების გაცნობას ადასტურებს შეფასების მტკიცებულებაზე ხელმოწერით.

**მუხლი 13. განმეორებითი შეფასება პროფესიული მომზადების პროგრამებზე/პროფესიული პროფესიული გადამზადების პროგრამებზე**

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე განმეორებითი შეფასება ჩატარდება ერთხელ, შედეგის დადასტურებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში;

2. სწავლის შედეგის ვერ დადასტურება/განმეორებითი სწავლის შედეგის ვერ დადასტურება, მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია.

**მუხლი 14. შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების,შენახვის წესი და პროცედურები**

1. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამებზე

შეფასებიდან მაქსიმუმ სამ სამუშაო დღეში პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების უწყისის ჩაბარებას ზრდასრულთა განათლების კოორდინატორისთვის/ქედისა და შუახევის მისამართებზე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერებისათვის) და საჭიროების შემთხვევაში გაიცემა განმეორებითი სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების უწყისი;

2. სწავლის შედეგ(ებ)ის ფარგლებში მოპოვებულ მსმენელების შეფასების მტკიცებულებებს განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ინახავს შესაბამისი ჯგუფის პორტფოლიოში;
3. სწავლის შედეგ(ებ)ის მიმდინარეობის პროცესში შეფასების მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი;
4. შეფასების მტკიცებულება უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციასა და რეკვიზიტებს:
   ა) აღნიშვნა: შედეგ(ებ)ი დადასტურდა/ ვერ დადასტურდა;
   ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა;
   გ) პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა.
5. შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი (ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და დარგის სპეციალისტები);
6. მსმენელის შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მათ შორის სწავლის შედეგ(ებ)ის მიმდინარეობის პროცესში;
7. მსმენლის შეფასებიდან გამომდინარე სწავლის შეწყვეტის საკითხის დადგომის შემთხვევაში, დირექტორის მოადგილე, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის//ქედისა და შუახევის მისამართებზე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერების) მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოფს დირექტორის წერილობით ინფორმირებას შეფასების უწყისების ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;
8. კურსდამთავრებულთა ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი/ქედისა და შუახევის მისამართებზე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერები აბარებს კოლეჯის არქივს მსმენელების შეფასების მტკიცებულებებს; ქედა/შუახევი;
9. შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადად განისაზღვროს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წელი.

დანართი N1

რისკების სისტემის
ნიმუში

| რისკების რეესტრი | | |
|---|---|---|
| **გარემოება** | **შესაძლო რისკი** | **კოეფიციენტი** |
| დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი | პროფესიული განათლების პრინციპის ცოდნა | დაბალი 1 ქულა |
| | მოდულის (მოდულზე მუშაობა)/მომზადების პროგრამის/გადამზადების პროგრამის შესაბამისად სწავლის შედეგების წაკითხვა | დაბალი 1 ქულა |
| | არასაკმარისი ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების, მსმენელების შეფასების შესახებ | დაბალი 1 ქულა |

დანართი N2

| მოთხოვნა შეფასების სისტემის მიმართ | განმარტება | სისტემის რომელ ნაწილს ეხება | შემოწმების მიდგომა |
|---|---|---|---|
| ვალიდური | შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. | შეფასების ინსტრუმენტი | შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის ექსპერტის მიერ |
| სანდო | შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. | შეფასების მტკიცებულება | მტკიცებულებათა შესწავლა დარგის ექსპერტის მიერ |
| გამჭვირვალე | შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის. | შეფასების პროცესი | შეფასების რეგულაციის შესწავლა, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში), შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება (შესაძლებლობის შემთხვევაში). |
| სამართლიანი | შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული. | შეფასების პროცესი | შეფასების რეგულაციის შესწავლა, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში), შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება (შესაძლებლობის შემთხვევაში). |
| ობიექტური | შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული. | შეფასების პროცესი | შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა |

დანართი N3

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“
შეფასების ინსტრუმენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება –
მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი –
ჯგუფი:
პროფესიული განათლების მასწავლებელი –
შეფასების ჩატარების თარიღი .......................................................
სწავლის შედეგ (ებ)ი - №

| | |
|---|---|
| შესაფასებელი სწავლის შედეგ (ებ)ი | შეფასების ინსტრუმენტის მოცემულ ველში სწავლის შედეგ(ებ)ი უნდა ფორმულირდეს მოდულის შესაბამისად |
| შესაფასებელი შესრულების კრიტერიუმები | შეფასების ინსტრუმენტის მოცემულ ველში მოცემულია სწავლის იმ შედეგის/შედეგების და შესრულების კრიტერიუმების დასახელება, რომლის შეფასებისთვისაც შეიქმნა ის ( ჩანაწერი შეესაბამება მოდულის სტანდარტული ჩანაწერებით განსაზღვრულ შესრულების კრიტერიუმებს) |
| შეფასების მიმართულება | შეფასების მიმართულება გამომდინარეობს შესაბამისი მოდულის სტანდარტული ჩანაწერებიდან და მისი შეცვლა არ შეიძლება. |
| შეფასების მეთოდი | შეფასების მეთოდები (ტესტი, ზეპირი შეკითხვები, სიმულაცია, პრაქტიკული დავალება და სხვა) გამომდინარეობს შესაბამისი მოდულის დამხმარე ჩანაწერებიდან.<br>იმ შემთხვევაში თუკი მასწავლებელს მიზანშეწონილად მიაჩნია მოდულში მითითებული შეფასების მეთოდის შეცვლა უნდა შემოვიდეს წერილობითი რეკომენდაციით მოდულში შებამისი ცვლილების შეტანის თაობაზე. |
| შეფასების პროცესის აღწერა | შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებები პროფესიული სტუდენტებისათვის გასაგები ენით არის აღწერილი, მოცემულია მათი შესრულების ზუსტი ინსტრუქტაჟი. |
| დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო | დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო გამომდინარეობს მოდული საათების განაწილების სქემიდან.<br>(იმ შემთხვევაში თუკი მასწავლებელს მიზანშეწონილად მიაჩნია შეფასებისათვის გამოყოფილი საათის შეცვლა უნდა შემოვიდეს წერილობითი რეკომენდაციით მოდულში შებამისი ცვლილების შეტანის თაობაზე.) |
| შეფასებისათვის საჭირო გარემო/პირობები | აღწერილია შეფასებისათვის საჭირო გარემო და პირობები, საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა და ინვენტარი; აღწერილია შეფასების პროცესის პირობები, თუ როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით, ინტერნეტით სარგებლობა, შეუძლიათ თუ არა სტუდენტებს თანამშრომლობა შეფასების პროცესში და სხვ. |

| | |
|---|---|
| შეფასების მტკიცებულება | შეფასების მტკიცებულება მითითებულია მოდულის დამხმარე ჩანაწერების შესაბამისად (მაგ: შემფასებლის მიერ შევსებული შესრულების პროცესზე დაკვირვების ფურცელი, შემფასებლის მიერ შევსებული შევსებული პროდუქტის შეფასების ფურცელი, ზეპირი გამოკითხვის ფურცელი, შესრულებული პროდუქტი, შევსებული ტესტი და ა.შ). |
| შეფასების სქემა/ შეფასების კრიტერიუმები | შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტის დანართ(ებ) სახით.<br>შეფასების კრიტერიუმებში დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, თუ რაშემთხვევაში დადასტურდება სწავლის შედეგი. |
| განმეორებითი შეფასება | შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ინფორმაციას განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ, დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. |

პროფესიული განათლების მასწავლებელი ...............................................................

შეთანხმებულია .........................................................  / ტექნიკური მხარე/

შეთანხმებულია .........................................................  / დარგის სპეციალისტი/

ზეპირი გამოკითხვის  ფურცელი / შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი / პროდუქტის შეფასების ფურცელი

| პროფ. სტუდენტები<br>შეფასების რიტერიუმები / საკონტროლო კითხვები/  და სხვ. | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |

**შეფასების პროცესის ვერიფიკატორი** -            /ხელმოწერა/

- ***პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების შედეგის გაცნობის ფურცელი***

| პროფ.სტუდენტი | სწავლის შედეგები | სწავლის შედეგ(ებ)ი დადასტურდა | გავეცანი, პროფ სტუდენტი: | განმეორებითი შეფასება | გავეცანი, პროფ სტუდენტი: |
|---|---|---|---|---|---|
| | 1. | | | | |
| | 2. | | | | |
| | 3. | | | | |
| | 4. | | | | |

✓ სწავლის შედეგი დადასტურდა

— სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული განათლების მასწავლებელი: **/ სახელი გვარი/**

დანართი N4

## სსიპ კოლეჯი „ბლექსი“
## შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის  შემოწმების ფორმა

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -*

მოდული /სწავლის შედეგი

პროფესიული განათლების მასწავლებელი -

თარიღი -

| | შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარე | შესაბამისობა | | |
|---|---|---|---|---|
| | | დიახ | ნაწილობრივ | არა |
| 1. | მითითებულია საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | | | |
| 2. | მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | | | |
| 3. | მითითებულია მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი | | | |
| 4. | მითითებულია შეფასების მიმართულება | | | |
| 5. | მითითებულია შეფასების მეთოდი | | | |
| 6. | მითითებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი | | | |
| 7. | შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს სწავლის იმ შედეგის/შედეგების და შესრულების კრიტერიუმების დასახელებას, რომლის შეფასებისთვისაც შეიქმნა ის | | | |
| 8. | შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებები გასაგები ენით არის აღწერილი/მოცემულია დავალების შესრულების ინსტრუქტაჟი | | | |
| 10. | შეფასების ინსტრუმენტში ასახულია დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი  დრო | | | |
| 11. | აღწერილია  შეფასებისთვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა და ინვენტარი | | | |
| 12. | აღწერილია შეფასების პროცესის პირობები, მაგ: თუ როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით, კალკულატორებით, ინტერნეტით და სხვ.  სარგებლობა. | | | |
| 13. | დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად | | | |
| 14. | შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ინფორმაციას განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ | | | |
| 15. | განსაზღვრულია, რა სახის მტკიცებულებით იქნება უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება | | | |
| | კომენტარები და რეკომენდაციები | | | |

შემმოწმებელი  განათლების სპეციალისტი  -                                /                                /

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“
შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი ნაწილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -
მოდული -
პროფესიული განათლების მასწავლებელი -
თარიღი -

| # | შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი ნაწილი | დიახ | ნაწილობრივ | არა |
|---|---|---|---|---|
| 1. | შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ კითხვათა/დავალებათა შინაარსი ფარავს სწავლის შედეგს | | | |
| 2. | შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული კითხვათა/დავალებათა რაოდენობა საკმარისია სწავლის შედეგის დასადასტურებლად | | | |
| 3. | დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო საკმარისია დავალების შესასრულებლად | | | |
| 4. | შეფასების ინსტრუმენტში სწორადაა განსაზღვრული ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი. | | | |
| | კომენტარები და რეკომენდაციები | | | |

შემმოწმებელი დარგის სპეციალისტი : -------------------------------------- / /
ხელწერა გვარი, სახელი

*სსიპ კოლეჯი „ბლექსი“*
*შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი*

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |
| მოდულის სახელწოდება: | |
| სწავლის შედეგი: | |
| ჯგუფის №: | |
| შედეგის დადასტურების თარიღი: | |
| პროფესიული განათლების მასწავლებელი: | |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | |
| ვერიფიკატორი: | |

| შეფასების პროცესი | დიახ | არა |
|---|---|---|
| შეფასება დაიწყო დანიშნულ დროს | | |
| შეფასება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრულ ადგილას | | |
| შეფასება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტის გამოყენებით | | |
| შესაფასებელ პირებს ჰქონდათ დროის სრულად გამოყენების შესაძლებლობა | | |
| შესაფასებელი პირისათვის წინასწარ იყო ცნობილი შეფასების პირობები (დრო და ადგილი, ხანგრძლივობა, შეფასების კრიტერიუმები) | | |
| შეფასების პროცესი უზრუნველყოფილი იყო საჭირო მასალებით და ნედლეულით | | |
| შემფასებლის ჩართულობა იყო მინიმალური და დაკვირვების ფუნქციით შემოიფარგლებოდა | | |

კომენტარები და რეკომენდაციები შეფასების პროცესთან დაკავშირებით :

პროგრამის ხელმძღვანელი:
ვერიფიკატორი:

*სსიპ კოლეჯი „ბლექსი “*

*საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი*

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |
| მოდულის სახელწოდება: | |
| სწავლის შედეგი: | |
| საკონტაქტო საათზე დასწრების თარიღი: | |
| მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი: | |
| ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა: | |
| პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შემოწმების დროს: | |
| მოდულით გათვალისწინებული სწავლების განხორციელების გარემო: A; B; C ; საწარმოო | |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | |
| შემმოწმებელი: | |

| შეფასების პროცესი | დიახ | არა |
|---|---|---|
| ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება მოდულში მითითებულ შესაბამის გარემოში | | |
| საკონტაქტო საათის დრო და თემატიკა შეესაბამება წინასწარ გაწერილ კალენდარულ გეგმას | | |
| პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია გაკვეთილის თემასთან | | |
| სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ /ტექნიკური რესურსით | | |
| სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო მასალებით და საგანმანათლებლო რესურსებით | | |
| მასწავლებელი ახდენს სტუდენტის მოტივირებას | | |
| მასწავლებელი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას | | |
| მასწავლებელი მეცადინეობის ბოლოს ახორციელებს უკუკავშირს სტუდენტებთან | | |

კომენტარები და რეკომენდაციები :

ვერიფიკატორი:

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი

პროგრამის ხელმძღვანელი:

*სსიპ კოლეჯი „ბლექსი“*

*კომპლექსული დავალების წარმოდგენის პროცესზე დაკვირვების ფურცელი*

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |
| მოდულის სახელწოდება: | |
| კომპლექსური დავალების ნომერი: | |
| ჯგუფის №: | |
| კომპლექსური დავალების წარმოდგენის თარიღი: | |
| პროფესიული განათლების მასწავლებელი: | |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | |
| ვერიფიკატორი: | |

| პროცესი | დიახ | არა |
|---|---|---|
| კომპლექსური დავალება დაიწყო დანიშნულ დროს | | |
| პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდათ დროის სრულად გამოყენების შესაძლებლობა | | |
| პროფესიული სტუდენტებისთვის წინასწარ იყო ცნობილი კომპლექსური დავალების პირობები (დრო და ადგილი, ხანგრძლივობა) | | |
| კომპლექსური დავალების წარმოდგენის პროცესი უზრუნველყოფილი იყო საჭირო მასალებით და ნედლეულით | | |
| პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობა იყო მინიმალური და დაკვირვების ფუნქციით შემოიფარგლებოდა | | |

| |
|---|
| კომენტარები და რეკომენდაციები კომპლექსური დავალების წარმოდგენასთან დაკავშირებით : |
| პროფესიული განათლების მასწავლებელი:<br>ვერიფიკატორი: |

**დანართი N5**

**სსიპ კოლეჯი „ბლექსი“**

**განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი**

**პროგრამის სახელწოდება** – (მომზადება/გადამზადება)

**ჯგუფი -**

**პროფესიული განათლების მასწავლებელი** – (ინსტრუქტორი)

**შეფასების ჩატარების თარიღი** ......................................................

**სწავლის შედეგ (ებ)ი -**

| | |
|---|---|
| **შესაფასებელი სწავლის შედეგ (ებ)ი** | შეფასების ინსტრუმენტის მოცემულ ველში სწავლის შედეგ(ებ)ი უნდა ფორმულირდეს შესაბამისი მომზადება/გადამზადების პროგრამიდან. |
| **შეფასების მიმართულება** | შეფასების მიმართულება გამომდინარეობს შესაბამისი მომზადება/გადამზადების პროგრამიდან. |
| **შეფასების მეთოდი** | შეფასების მეთოდები (ტესტი, ზეპირი შეკითხვები, სიმულაცია, პრაქტიკული დავალება და სხვა) გამომდინარეობს შესაბამისი შესაბამისი მომზადება/გადამზადების პროგრამიდან.<br>იმ შემთხვევაში თუკი მასწავლებელს მიზანშეწონილად მიაჩნია სწავლის შედეგ(ებ)ში მითითებული შეფასების მეთოდის შეცვლა უნდა შემოვიდეს წერილობითი რეკომენდაციით სწავლის შედეგ(ებ)ში შებამისი ცვლილების შეტანის თაობაზე. |
| **შეფასების პროცესის აღწერა/ დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო შეფასებისათვის საჭირო გარემო/პირობები** | შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებები მსმენელებისთვის გასაგები ენით არის აღწერილი, მოცემულია მათი შესრულების ზუსტი ინსტრუქტაჟი/დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო.<br>A/B/C გარემო, აღწერილია შეფასების პროცესის პირობები, თუ როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით, ინტერნეტით სარგებლობა, შეუძლიათ თუ არა მსმენელების თანამშრომლობა შეფასების პროცესში და<br>სხვ. |
| **შეფასების მტკიცებულება**<br><br>**შეფასების სქემა/ შეფასების კრიტერიუმები** | მაგ: შემფასებლის მიერ შევსებული შესრულების პროცესზე დაკვირვების ფურცელი, შემფასებლის მიერ შევსებული შევსებული პროდუქტის შეფასების ფურცელი, ზეპირი გამოკითხვის ფურცელი, შესრულებული პროდუქტი, შევსებული ტესტი და ა.შ<br>შეფასების კრიტერიუმებში დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, თუ რაშემთხვევაში დადასტურდება სწავლის შედეგი. |
| **განმეორებითი შეფასება** | განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთხელ. |

პროფესიული განათლების მასწავლებელი ...............................................................

შეთანხმებულია (ტექნიკური მხარე) ............................ / (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი/ქედა, შუახევის მისამართებზე სასწავლო და ადმინიტრაციული პროცესების მენეჯერები)

შეთანხმებულია ................................................................ / (დარგის სპეციალისტი)

## შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი / საკონტროლო კითხვები

| მსმენელი<br>შეფასების რიტერიუმები / საკონტროლო კითხვები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |

***პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების შედეგის გაცნობის ფურცელი***

| პროფ.სტუდენტი | სწავლის შედეგები | სწავლის შედეგ(ებ)ი დადასტურდა | გავეცანი, პროფ სტუდენტი: | განმეორებითი შეფასება | მსმენელი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

✓ სწავლის შედეგი დადასტურდა

— სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული განათლების მასწავლებელი/ისნტრუქტორი:

## ზეპირი გამოკითხვის ფურცელი

| მსმენელი / კითხვები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |

- ***პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების შედეგის გაცნობის ფურცელი***

| პროფ.სტუდენტი | სწავლის შედეგები | სწავლის შედეგ(ებ)ი დადასტურდა | გავეცანი, პროფ სტუდენტი: | განმეორებითი შეფასება | მსმენელი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

✓ სწავლის შედეგი დადასტურდა

— სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული განათლების მასწავლებელი/ისნტრუქტორი:

## პროდუქტის შეფასების ფურცელი

| მსმენელი / კითხვები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |

*პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების შედეგის გაცნობის ფურცელი*

| პროფ.სტუდენტი | სწავლის შედეგები | სწავლის შედეგ(ებ)ი დადასტურდა | გავეცანი, პროფ სტუდენტი: | განმეორებითი შეფასება | მსმენელი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

- ✓ სწავლის შედეგი დადასტურდა
- — სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული განათლების მასწავლებელი/ისნტრუქტორი:

დანართი N6

# სსიპ კოლეჯი „ბლექსი“
## შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმების ფორმა

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა -

სწავლის შედეგი

პროფესიული განათლების მასწავლებელი -

თარიღი -

| | შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარე | შესაბამისობა | | |
|---|---|---|---|---|
| | | დიახ | ნაწილობრივ | არა |
| 1. | მითითებულია საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | | | |
| 2. | მითითებულია პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის სახელწოდება | | | |
| 3. | მითითებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი | | | |
| 4. | შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებები გასაგები ენით არის აღწერილი | | | |
| 5. | შეფასების ინსტრუმენტში ასახულია დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო | | | |
| 6. | დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად | | | |
| კომენტარები და რეკომენდაციები | | | | |

შემმოწმებელი განათლების სპეციალისტი - / /

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი ნაწილი

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა -

სწავლის შედეგი

პროფესიული განათლების მასწავლებელი -

თარიღი -

შემმოწმებელი დარგის სპეციალისტი : --------------------------------------- / /

ხელწერა გვარი, სახელი

| № | შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი ნაწილი | დიახ | ნაწილობრივ | არა |
|---|---|---|---|---|
| 1. | შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ კითხვათა/დავალებათა შინარსი ფარავს სწავლის შედეგს | | | |
| 2. | შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული კითხვათა/დავალებათა რაოდენობა საკმარისია სწავლის შედეგის დასადასტურებლად | | | |
| 3. | დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო საკმარისია დავალების შესასრულებლად | | | |
| 4. | შეფასების ინსტრუმენტში სწორადაა განსაზღვრული ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი. | | | |

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი

| | |
|---|---|
| პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა | |
| სწავლის შედეგი | |
| ჯგუფის №: | |
| შეფასების თარიღი: | |
| პროფესიული განათლების მასწავლებელი: | |
| ვერიფიკატორი: | |

| შეფასების პროცესი | დიახ | არა |
|---|---|---|
| შეფასება დაიწყო დანიშნულ დროს | | |
| შეფასება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრულ ადგილას | | |
| შეფასება მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტის გამოყენებით | | |
| შესაფასებელ პირებს ჰქონდათ დროის სრულად გამოყენების შესაძლებლობა | | |
| შესაფასებელი პირისათვის წინასწარ იყო ცნობილი შეფასების პირობები (დრო და ადგილი, ხანგრძლივობა, შეფასების კრიტერიუმები) | | |
| შეფასების პროცესი უზრუნველყოფილი იყო საჭირო მასალებით და ნედლეულით | | |
| შემფასებლის ჩართულობა შესაბამისია სწავლის შედეგით გათვალისწინებული შეფასების მეთოდის/მეთოდების | | |

კომენტარები და რეკომენდაციები შეფასების პროცესთან დაკავშირებით :

პროფესიული განათლების მასწავლებელი:

ვერიფიკატორი:

*სსიპ კოლეჯი „ბლექსი “*

*საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი*

| | |
|---|---|
| პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა | |
| სწავლის შედეგი: | |
| საკონტაქტო საათზე დასწრების თარიღი: | |
| სწავლის შედეგის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი: | |
| ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: | |
| მსმენელთა რაოდენობა შემოწმების დროს: | |
| შემმოწმებელი: | |

| | დიახ | არა |
|---|---|---|
| ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება სწავლის შედეგში მითითებულ შესაბამის გარემოში | | |
| საკონტაქტო საათის დრო და თემატიკა შეესაბამება წინასწარ პროგრამას | | |
| პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია განსაზღვრული პროგრამის კვირასთან | | |
| სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ /ტექნიკური რესურსით | | |
| სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო მასალებით და საგანმანათლებლო რესურსებით | | |
| მასწავლებელი ახდენს მსმენელთა მოტივირებას | | |
| მასწავლებელი ხელს უწყობს მსმენელების ჩართულობას | | |
| მასწავლებელი მეცადინეობის ბოლოს ახორციელებს უკუკავშირს მსმენელებთან | | |
| კომენტარები და რეკომენდაციები : | | |
| ვერიფიკატორი: | | |

| |
|---|
| სწავლის შედეგის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი |